საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

არმსტრონგი ნილ

ნ. არმსტრონგი

არმსტრონგი (Armstrong) ნილ (დ. 5. VIII. 1930, უაპაკონეტა, ოჰაიოს შტ.), აშშ-ის კოსმონავტი მფრინავი, პირველი ადამიანი, რ-იც იყო მთვარეზე. ცინცინატის უნ-ტის პროფესორი (1971-იდან). 1966 წ. 16 მარტს დ. სკოტთან ერთად იფრინა კოსმ. ხომალდით „ჯემინი-8“ (იყო ხომალდის მეთაური). 1969 წ. 16 – 24 ივლ. მისი მეთაურობით შესრულდა ისტ. ფრენა მთვარეზე „აპოლონ-11-ით“ ე. ოლდრინსა და მ. კოლინზთან ერთად. 1969 წ. 21 ივლ. 6 *სთ* 56 *წთ* და 15 *წმ*-ზე თბილ. დროით ა-მა მსოფლიოში პირველმა დაადგა ფეხი მთვარის ზედაპირს და შემდეგი სიტყვები წარმოთქვა: „ადამიანის ეს პატარა ნაბიჯი კაცობრიობის დიდი ნახტომია“. 19 *წთ* შემდეგ მას შეუერთდა ე. ოლდრინი. ისინი ორ საათზე მეტხანს იყვნენ მთვარის ზედაპირზე (ხომალდის გარეთ), სადაც დადგეს სამეცნ. ხელსაწყოები და შეაგროვეს მთვარის ქანის ნიმუშები. სულ ა-მა მთვარეზე დაჰყო 21 *სთ* და 36 *წთ*.